

ოქმი № 6

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2019 წელი, 3 აპრილი

ქ.ოზურგეთი

14.00-15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ლ. საჯაია - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: მ.ჩხიკვიშვილი, მ.ზოიძე, ალ.ღლონტი, ლ.ბიგვავა, ნ.ორაგველიძე, ჯ.თავართქილაძე, რ.სკამკოჩაიშვილი, ლ.სიჭინავა, ვ.ჩხაიძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. კომისიაში შემოსული კორექციონების შესახებ.

მომხს : ლ საჯაია

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

მომხს: ლ საჯაია

თანამომხს: პ.ჭყონია

კომისიის წევრებმა მოისმინეს სხდომის თავმჯდომარის მოკლე ინფორმაცია კომისიაში შემოსული ორი მოქალაქის განცხადების შესახებ. დებაზუს საჯარო სკოლის პედაგოგს, მანონი მამალაძეს, რომელიც ასწავლის დაწყებით კლასებში აქვს საკუთარი ლექსების კრებული, რომელსაც იყენებს სწავლების პროცესში. ამ ინიციატივამ გამოხმაურება და მოწონება მოიპოვა. იმიტომ რომ განათლების სამინისტროს გადაეგზავნოს მასალები ამ კრებულის დამხმარე სახელმძღვანელოდ აღიარებისათვის, აუცილებელია კრებულის დაკაბადონება და სასიგნალო ეგზემპლარად აკინძვა, რისთვისაც საჭიროა დაფინანსება 500 ლარის ოდენობით. კომისიამ გადაწყვიტა, შუამდგომლობით მიმართოს მუნიციპალიტეტის მერიას დაფინანსების მიზნით, ამასთან

განმცხადებელმა მერიას უნდა წარმოუდგინოს კომპეტენტური რეცენზია კრებულზე.

მოქალაქე კახაბერ სურგულაძე ითხოვდა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლე-ახალგაზრდობაში მის მიერ შექმნილი სასწავლო-საგანმანათლებლო ინტერნეტ თამაშების დანერგვის მიზნით დახმარებას. კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება წერილით მიმართოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა) ი. პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისა და სარეკრეაციო დაწესებულებათა გაერთიანება“-ს განიხილოს კახაბერ სურგულაძის წინადადება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წინადადებას ქ. ოზურგეთში ნიკო ნიკოლაძის ქუჩაზე ქირით მცხოვრები 9-სულიანი ოჯახისათვის (აქედან 7-ვაჟიშვილი) მუნიციპალიტეტის რომელიმე სოფელში საცხოვრებელი სახლის მერიის მიერ შეძენის შესახებ.

მოისმინეს და იმსჯელეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ,“ გამოითქვა მოსაზრებები შეფასების ინდიკატორების განსაზღვრის, ქონების გაყიდვიდან შემოსავლების, არა ფინანსური აქტივების ზრდის და სხვათა თაობაზე, საბოლოოდ კომისიამ მხარი დაუჭირა დასკვნას ანგარიშის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენის თაობაზე.

კომისიის წევრმა ლ. ბიგვაჟამ დასვა შეკითხვა- რამდენი პროცენტი შეადგინა ბიუჯეტის ზრდამ საკუთარი შემოსავლებით? რაზეც მიიღო შესაბამისი განმარტება.

გადაწყვეტის:

1.დამტკიცდეს კომისიის დასკვნა(თან ერთვის) და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ“ საკრებულოს განკარგულების პროექტი წარდგენილ იქნას საკრებულოს მომდევნო სხდომაზე განსახილველად.

2.მოქალაქე მ. მამალაძის განცხადების თაობაზე წერილი გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას(კ. შარაშენიძე).

3.მოქალაქე კ. სურგულაძის განცხადების თაობაზე წერილი გაეგზავნოს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისა და სარეკრეაციო დაწესებულებათა გაერთიანება“-ს(თ. ნადირაძე).

3.გეგეჭკორების მრავალშვილიანი ოჯახისათვის საცხოვრებელი სახლის შეძენის თაობაზე წერილი გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას(კ. შარაშენიძე).

ლელა საჯაია



კომისიის თავმჯდომარე
განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია